


# მშენებელი

№ 34

მ ა თ რ ა ს ი 1917

## გელის სიმაღლე

შეგირცხვეს ღღობა  
 ოცდაათ ივლისო!  
 მშვიდობით ინკერერ,  
 მშვიდობით თფილისო!  
 მე შენზე ვზრუნავდი  
 დღითა და ღამითა;  
 შენ კი თასს მომაწვდი  
 ნაღვლით და შხამითა...  
 არ მეზოგებოდა  
 მე შენთვის ხმა, ღონე,  
 და თურმე ქალაქში  
 საღ მყავდა გამგონე!  
 მაშ ვისთვის ვაფრქვევდი  
 მე „სიტყვებს“ მქუხარეს,  
 თუ ვგრე უდროით  
 დამსვამდი მწუხარეს?  
 მშვიდობით შენ, ჯაქვო,  
 თავ-შემოსარგბო;  
 მშვიდობით პატარა  
 წკრიალა ზარებო!  
 მშვიდობით სოლოლაკ,  
 მთაწმინდის ქუჩებო!  
 მარქვით, რას შერჩოდით  
 „ზავაზლის“ მუშებო?  
 შეგირცხვეს ღღობა  
 ოცდაათ ივლისო!  
 მშვიდობით ძვირფასო  
 ქალაქო თფილისო.



# პატარა ფელეტონი

## ღამფუქნაგული კრება.

ჯოჯოხეთის პარტიათა პირველ კრებაზედვე გამოირკვა „ღამფუქნაგული კრების“ დიდი მნიშვნელობა ჩვენი ღუბუბირი არსებობისათვის.

ხმის დიდი უმრავლესობით ნაციონალური საკითხის გადაჭრა პარტიათა დღევანდებში „ღამფუქნაგულ კრებამდე“ გადასდევს.

მიწის საკითხი, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობელია ჯოჯოხეთისათვის ადგილის სიფიწროვის გამო, მიუხედავად სიმწვავისა ჯერ გაურკვეველი დარჩა და „ღამფუქნაგულ კრებისათვის“ გიდაიღო.

საკითხი ეროვნულ მხედრობის შესახებ ჩვენს სიეზდს თითქმის გარკვეული ჰქონდა, მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ მისი გადაწყვეტაც მხოლოდ და მხოლოდ „ღამფუქნაგული კრების“ კომპეტენციაში შედის, რის გამო გადადო აღნიშნული კრების მოწვევამდე.

ასეთი ბედი ეწია, თითქმის ყველა ღირს-მნიშვნელოვან საკითხს და ღრმა ფიქრებიერ დატვირთული დავბრუნდი სახლში.

— მაღლობა ღმერთს, სახლში დაგინახე, — მომაგება ძვირფასმა კანონიერმა მელღლემ ჩემმა, ქ-ნმა ჯვალემ, — იქნებ ახლა მაინც მოვახერხო შენთან ორი სიტყვის თქმა საქირო საგანზე.

— რა ამბავია, ხომ არაფერი მომხდარა ოჯახში?

— ჯერ არ მომხდარა, მაგრამ ხომ შეიძლება მოხდეს?

— მაინც?

— მაინც ისა, რომ აგერ ივნისი მოდის ქალაქში აუტანელი სიცხეა.

— ვიცო, ვიცო...

— შენ არაფერიც არ იცი. შენ მაშინ გეტო-დინება, როცა მეცა და ჩვენი ბავშვებიც ლოგინზე დავეყრებით ექიმებისა და ფარმაცევტების სათამაშოთ.

— მოთმინება ქ-ნო, მოთმინება ტყვილათ ხომ არ ამბობს საღმრთო წერილი: მოთმინებითა შენითა...

განა ცოტა ვითმინეთ? მეტიც მოთმინა აღარ შეგვიძლია. განა როდემღი უნდა ვითმინოთ?..

— როგორ თუ როდემღი? თავის თავად ცხადია ღამფუქნაგულ კრებამდე უნდა მოვითმინოთ. აქ ლაპარაკი ზედმეტი იქნება.

— ღამფუქნაგულ კრებამდე?..

— დიხს დაბფუქნაგულ კრებამდე. ახლა ხომ ძველი დრო არ არის ღამფუქნაგულ კრებას ანგარიში არ გაუწიოთ. სხვა არა იცოს რა ხალხი რას იტყვის.

— კარგი, კარგი, რა გაეწყობა, მაგ კრებასაც დაუცდით, ერთი დღით ადრე თუ გვიან ევ არაფერია, მაგრამ აი ამ გოგოს თუ ახლავ არ ვუყიდეთ საგარაკო მალაყელიანი ტუფლები ყოვლად შეუძლებელია.

— რამდენი სჭირია?

— თვრამეტი თუმანი...

— რამდენიო?

— რამდენი და თვრამეტი, თვრამეტი თუმანი.

— აჰა! განა ასე უსაშველო და აუცილებელია ახლავ ყიდვას?

— მაშ როგორ იქნება?..

— თავისთავად ცხადია, უნდა გადაიღოს ღამფუქნაგულ კრებამდე. ასეთი ღიღი ხარჯის ახლა გადაწყვეტა ყოვლათ შეუძლებელია.

— ვერაფერი გამიგია სწორეთ...

ადამიანო ნუ გაამხელ მაინც! რევოლუციის ხანაში სცხოვრობ და ღამფუქნაგული კრება ვერ გავიგია, კარგია თქვენმა მშემ. უცხოისთან მაინც არ წამოგცდეს, სირცხვილია რას იტყვიან.

— კარგი, ბაშაკებს გადავღობთ მაშლო, მაგრამ შლიაპა ხომ დღესვე უნდა ვიყიდოთ, — აღფრსით წიარმოსთქვა ჩემმა უფროსმა ქალიშვილმა ბაქოშ.

— აბა გაიქეცო, არაფინ მოგასწოროს. ისე ლაპარაკობ მაშუკო, თითქო ღამფუქნაგული კრებისთვის ველარ მოასწორობ. მოითმინე, ქვეყანა თუ კი იცდის შენ რაღა ხარ. რა არის შლიაპა ღამფუქნაგულ კრებასთან შედარებით,

— რა არის?

— რა არის და ხმელი ტარანი. ახალგაზრდა მაინც არ იყო, რომ ასეთი სულწასულობა გევატროს. ეგ, თუ მათქმევინებ, დიდი სარევოლუციო



მიზნების უპატივცემულობა და თითქმის მითი აბუ-  
ჩად აღდგება.

ბატუ კონტრ რევოლიუციონერკა არასოდეს  
არა ყოფილა; პირიქით რევოლიუციას ყოველთვის  
თანაუგრძნობდა „Постольку по скольку“ს პრო-  
პორციით. ახლაც თვალში ცრემლით აემსო და  
აღარ იცოდა სირცხვილიდან თავი როგორ დაეხსია.

— მე ხომ უსაშველოდ...

— არა ვიცი უსაშველოდ არ თხოულობ, ვი-  
ნაიდან ეს პირდაპირ წყაროვლდგენელი იქნებოდა  
შეგნებული ადამიანისაგან, მაგრამ დამფუძნებელ  
კრებაზე შეკამათება...

ჰო კარგი იყოს როგორც სჯობია, კრებაც ხომ  
მალე იქნება.

ვასზაზე რამოდენიმე მწვევე საოჯახო საკით-  
ხი წარმოსდგა, მაგრამ დამფუძნებელმა კრებამ ყვე-  
ლას მხოლოდ მოუღო და ოჯახში სიმშვიდე დაამყა-  
რა. ის იყო გულ დასაწყობოთ გავემზადე, როცა  
მოულოდნელი უბედურება თავს დამატყდა. ჩემს  
მეუღლეს კბილი ასტივდა.

— მოვკვდი, მოვკვდი, მიშველეთ ექიმთან —  
მწარე ოხვრა წუხილით შემომჩიოდა ქნი ჯვადუ.

— დამშვიდდი, გენაცვა, ნუ ღელავ, რაც  
უფრო იმწუხრებ მით უარესია.

— მიშველეთ ექიმი ჩქარა, ექიმი გაიძახოდა  
ჯვადუ და საშინლად იძიულდებოდა.

— რათ გინდა ექიმი ჩემო კეთილო, განა  
ექიმს რა შეუძლია, რა უნდა დაგეხმაროს...

— მოვიგლეჯ უ. უ. უ. უ. ვაი, მიშველეთ  
ჩქარა...

— როგორ თუ მოვიგლეჯ? კბილს მოვიგლეჯ,  
ადამიანო, ასე უღროთ?

— სტიკვა მამილო, სტიკვა, ვერა ხელავ რო-  
გორ იტანჯება—შენიშნა ბაკუმ...

— დმერთო რა ხალხში ესტოვრობ, რა ხა-  
ლხში გოგოვ განა მე კი არ ვიცი რომ სტიკევ?  
მე ტკივლს ხომ არ ვამბობ; სტიკოდეს რამდენიკ  
ენებოს, მაგრამ კბილის მოგლეჯა დამფუძნებელ  
კრებამდე, ეს ხომ მოუშოვებელი შეცდომა იქნება?

— მაშ რა ვქნა, მიშველეთ, ვკლები... კვდებ-  
ბი...

— როგორ თუ რა ჰქნა ადამიანო! მეტი რა  
გზაა უნდა გაუძლო, უნდა მოითმინო. დამფუძნე-  
ბელ კრებამდე კბილის მოგლეჯა ეს ხომ რევოლი-

უციის ღალატია, ეს ხომ საქვეყნოდ საყდეს მოკ-  
რიაა. ვინ იცის რა მოჰყვება ~~სამფუძნებელი~~ კრებას  
და შენ კი ახლავ გინდა კბილი მოიგლიჯო. განა  
დაუფიქრდი, როცა ამას ამბობდი?

— როგორ უნდა დაუფიქრებოდი, დარცხვე-  
ნით წარმოსთქვა ქნმა ჯვადუმ, რომელსაც მარჯ-  
ვენა ყბა საგრძნობლად წამოაუსვდა.—რომ არ  
მტკიოდეს განა მე კი არ ვიცი დამფუძნებელი  
კრება..

— კიდევაც ისა მკლავს, ადამიანო, რომ იცით,  
მშვენიერია იცით და მინც მალაპარაკებთ. აი და-  
გივინიათ ლევანმა ამ კვირაში უთუოდ ჯვარი უნ-  
და დაიწეროსო...

— ვითომ რაღას ვუცდი ვერ გამოვიგა—წარ-  
მოსთქვა დინჯათ ჩემმა უფროსმა ვეშა..

— რას უცდი ვერ გამოვიგა!.. შენ ჩემო კარ-  
გო შენი დარჯჯანი გახსოვს ამ ქვეყნად,.. სხვა  
რამ თუა ყურადღების ღირსი ინახე აღარც კი  
ფიქრობ.

— დიხაც კი ვფიქრობ.

— მაშ თუ კი ფიქრობ, რომელ ჰკუთხა  
მყოფელს მოუვა თავში ჯვარის წერა და ისიც და-  
მფუძნებელ კრებამდე.

— დამფუძნებელი კრება არ იყო უწინ, მაგ-  
რამ ჯვარს კი იწერდენ...

— სთქვა რუქამ არაკი როცა არ იყო, მა-  
შინ მოცადე არ შეიძლებოდა და არც არავის  
გამეცუნებოდა ასეთი საქციელი, მაგრამ როცა  
დამფუძნებელი კრების აზრდელი თვალწინ გვიდგა,  
როცა ჰქვეყანა მის მოლოდინშია, ყველა იმას  
უფარდებს თავის გამოსვლებს, საკითხი სულ სხვა-  
გვარ ირკვევა. დღევანდელ მომენტში ასეთი გა-  
მოსვლები სამართლიანად შეიძლება კონტრ-რევო-  
ლიუციონერ გამოსვლად ჩაითვალოს.

— რატომ უნდა ჩაითვალოს?

— თავისდავად ცხადია. ამისი კითხვაც სირ-  
ცხვილია ახალგაზრდა ყმაწვილისაგან. საკითხი თა-  
ვად ლაპარაკობს თავის შესახებ, აქ საქროა მხო-  
ლოდ უბრალო შეფარდება.

— მე აღრე შირჩენია, თორემ გადადებთ  
უსაშველოდ როდი მიმანია.

— ვიცი, შევილო, თქვენ ყველას კარგათ გე-  
სმით საქმის ფოთარება, ჩემზე ნაკლებ არ განიტე-  
რესებთ არც დამფუძნებელი კრება, მაგრამ ვანგებ



მალაპარაკებთ, განზრახ მტანჯავთ. ამა მიიხედ-მოიხედე ვინ აპირობდა ჯვარის წერას დამფუძნებელ კრებამდე შენს გარდა. გარწმუნებ არავინ, ვინაიდან ყველა შეგნებულ მოქალაქეს ესმის მომენტის სიმძიმე და დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა.

— იმ დღიდან, ვიდრე დღევანდლამდე „დამფუძნებელი კრება“ ჩემი მიუვალე სიმაგრე და შეურყეველი ბურჯია. კადეტებმა თითქო იციან ეს ამბავი როცა ცდილობენ რაც შეიძლება გააფრძელონ ვადა მისი მოწვევისა.

მორიელი.

### „მოსაქმენი“

მე ვფიქრობ: ერთობ ძნელია  
 „სახალხო“ მოღვაწეობა,  
 მრავალი საქმის პოტინი—  
 (ყოველგან „მეჩქვებობა“)  
 ხან აქ ფუსფუსი, ხან იქა  
 წაღმა უკულმა ტრიალი...  
 აღმოცელების კაცს სიქა,  
 ეწვევა გულის ფრიალი!  
 უღროთ იგრძნობს სისუსტეს—  
 მოუღუნდება კუნთები,  
 თვით შესძულდება დაბოლოს,  
 თვისი სიცოცხლის წუთები.  
 ეს კანონია ამგვარი  
 და სინამდვილეთ თქმულია,  
 ამა სიბრძნისა უარყოფა  
 ცოტა საძნელი, რთულია!..  
 მაგრამ სუფევან „გმირები“  
 ამ კანონს ეურჩებიან,  
 ჩემნი „ამაჟღერებელი“  
 „საქმისთვის“ იტანჯებიან;  
 „ქართველი ხალხის“ სიკეთე  
 სწაღიათ, მისთვის იღწიან,  
 (მე თუ არ გადავამეტე—  
 ვგონებ, რომ კიდევ იბრძვიან);  
 მაგრამ კითხვაა: რას ქვია?  
 ან რა საწადელს აღწევენ?  
 დიდი ხანია ოფლს ღვრიან—

შრომობენ, დახარბობენ;  
 სოფელ-ქალაქებს მარტო  
 თავისს „პარტიას“ წყობენ  
 და ასე, ტპილ-ტპილ სიტყვებით  
 ზოგ ზოგსა კიდევ ათრობენ!  
 ჰო-ლა, რას ქვიათ ეს „გმირნი“  
 საღ არის მათი ლაშქარი?  
 რატომ შეთბიან, ვით მწირი  
 გაირყულ, ვანზე გამდგარი?  
 რისთვის არ ირჩევს მათ ხალხი  
 რათ შეაქციო სურგია,  
 რათ ღარსა ხმათა ტრახახად  
 მხიბლავი მათ ლოზუნგია?  
 ამდენი წელი „იღწვიან“  
 საღ გაამაგრეს ბუნია,  
 ნუ თუ ესდენი ლოდინი—  
 არ არის მოსაწყენია?!

ახ, ნეტავ თქვენს მოთმინებას!—  
 როგორ სძლებთ „მოსაქმენია“;  
 რატომ ანგარიშს არ ითხოვთ,  
 რაღა გაქვთ მოსაკელია?!  
 „ბევრი ვთქვით“-ო! — იძახდით,  
 გამოგვიტეღეთ ყურები,  
 დღეს ხომ აწკარათ გამოჩნდა  
 ფაქტების ნადასტურები!..  
 ოთხ-ოთხი ხმა ძლიეს მიიღეთ  
 ამით ტრახახობა „გმირები“,  
 ილხინეთ, კიდევ იყვირეთ:  
 „ჩვენ მოგვდევს შრომის შვილები“  
 ოცნებაჲ კარგი საქმეა—  
 აწ დაიმშვიდეთ გულები,  
 მოთავსდით თქვენ-თქვენს ქერქშია  
 გეყოფათ ტრახახ-ტყულები;  
 ხალხი კვლავ ივლის თავის გზით  
 თქვენგან შორ განადგომია,  
 ნუ შესწუბდებით — იმათთვის  
 სხვა წრე მოსძებნეთ სჯობია!..

ალბურონი.



# ქ უ თ ა ი ს ი

(საზ.ფხულო კლუბის ბალიდან)

წავიდა ჩემი სიკბაბუკის ამონაკენისი, უკანასკნელათ მოაჯირთან დამიკრა თავი; ვატყობ არ შელის არასოდეს მე უკუეოსი და ყოველ წუთში მესმის ხმები სულ გულ საკლავი. შენა გგონია ძმაო ეშმაკო, რომ დავგივიწყე და აღვიკვეთე შენს „მათრახში“ ლექსების წერა?! ნეტავ იცოდე რომანები, როგორ დავიწყე, ნეტავ იცოდე ჩემი გულის და ტენის ძგერა! აღარაფერი ამა ქვეყნათ არ დამჩენია, ისე უაზროთ მიმაქროლებს გრძნობა წყეული, ან დავმარცხდები, ეს ქვეყანა ვის, შერჩენია, ან და გამოვალ ვით იოზი ტანჯულ ძლეული. საზამთრო კლუბის არ მინახავს ვფიცავ კარები, საზაფხულოში ყოველ ღამე დავიარები; ჯერ მას ვერ გეტყვი ვისი მომწონს სახელ გვაბრები, ვისთ ვამჩნდა მძიმე წყლული დაიარები. ოხ ვინ არ გინდა იქ არ იყოს და იქ არ ნახო: ფილოსოფოსნი, ბანკირები და საბოყნიკი, თუ ტყუილი ვსთქვა, ჩემს სატრფოვზ ჩამოვიტალხო და ჩემს სიკვდილზე არ გენახოს დაკლილი ტიკი. ეს ვინ არ გინდა იქ არ ნახო, „გიჟი“ ქალები, მთელს შენს სიცოცხლეს შეიწირავს მხოლოდ თვალები შორს, შორს, შორს ამ დროს და ისიც იქ იღვალეები, თუმც, რომ იცოდე ყველას სძულხარ არ ებრალები. იცი „ეშმაკი“ იქ ბალი, ბაღში გორაკი, გორაკის შუაში ამოჭრილია ხნიერი მუხა, რა კარგი არის ამ მუხაზე ტურფა ვამაკი, სულ ერთი არის მაინც მოკვდა ვინც სხვა იწუხა. რეკოლუტია აღარ სცხრება მაინც ქანჯალობს, მტ კითხვა არის, ველირსებით მის დამაგრებას! მოპირდაპირე, როგორც სჩანს ყოველ დღე ძალობს და არეინ იცის მოგვახვევენ თუ ვისსა ნებას.. —ეი მიშველეთ, როგორ ავცილ მე წმინდა მიზანს! ღმერთს გეფიცები, მხოლოდ გრძნობამ ამთამაშა! მე კვლავ ბრძოლა მსურს, მტერი მკაცრი ვერა რას მიზამს მხოლოდ მებრძოლებს, მეღვარ გმირებს ვა შა და ვაშა!

(გარეთ ლოტო) ეშმაკი  
ანი-ნიონიანი


ბედნიერება ვაჩაღეთ ეგ ღამე ზნელი და დღეთ ვახადეთ ვაღალახეთ ბუნების ძალო: რა კარგი არის ღამის ნაშპე ცხოვრება ნელი, მეთაფრები დაუკაროო საკრავი ჩქარა. ვადაპრუნე მლოტოვე ვენც ლოტოს ჯარა და ამ ცხოვრებას მიუმატე შენ შენი წვლილი, სულ ოთხმოცის ვარ, ღმერთსა ვფიცავ და მტრის არა, ამითამაშე გვედრები ეგ სახე ჩელი.

## (ბანძოს ოთახი)

ჰა ეს ოთახი, მკრთალი ოთახი. თუთუნის ბოლში გამოხვეული, ჰა ეს ოთახი, ოთახი მთვრალი, ოთახი ნაქებ და თან წყეული. ვინ გინდა, შით რომ არ დაინახო: უცხო, შინაურ და გინდ წვეული; რა გინდა შით რომ არ დაინახო, სიგიფე ფულით გამაწვეული. ეჰ სოფელო! მე შენ რა ვითხრა, როდესაც ძალას ბოროტათ ხმარობ, ქვეყნისთვის ღამის მიწა ვაიკრა შენ კი საშველად სულ არა ჩქარობ. აქ შეგეყრია მთელი ძალები: მდიდარ, ღარიბი, ვალანები და მიჯდომიან ბანქოს მავიდას, მავიდის ცემას აუღის მტვერი. კმარა ამათე, თმენა არ იტანს, სულთ დაიმსხვრა და დავიქერი; განთიადისს, როს მამლებს ყოელი სწყედება. და გვახარიას ხაშმუშე... ძალს ეძლევიან მოთამაშენი თავის საქმეს მაინც არ სცდება, სანამ ერთისგან დანარჩენი არ იძლევიან.

სატ. ნა.

\*) დამსახურებული ქედლები.



ქართული  
საქართველო

# ეშმაქი პრეპინსიაში.

(გაგრძელება, იხ. „ეშმაქის მათრახის“ № 33).

## გულდაუთი-სოხუმში.

გულდაუთიდან სოხუმამდე მშვენიერი საეტლო გზა მიდის ზღვის პირ-პირ. ნაკლი გზისა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ უყურადღებოთ არის მიტოვებული, ოღრო-ჩოდრო და უხიდ-უმოვიროა.

გზათა მორწყვის შესახებ, რომ მგზავრი მტვერ-მა არ დაახრჩოს, არაერთარი ზომები არ არის მიღებული. ეს უნდა ითქვას საზოგადოთ ყველა საეტლო გზების შესახებ აღზაზეთსა და სამეგრელოში. არსად სასაფლო გზებს არა რწყავენ.

მშვენიერი, მდიდარი, ნახი და ველური ბუნება აღზაზეთისა არის გადაშლილი ჩვენს გარშემო. მარჯვნივ ლურჯი სივრცე ზღვისა, მარცხნივ მწვანე მთები და ვორაკები.


სოფლები უფრო მთის ძირებშია შეხიზნული, ვინაიდან დაბლა, ზღვის ნაპირებში ჩასახლებულია ქალბატონი ცუცუ მალიარია, რომელიც ზამთრობით სადღაც იხიზნება, ხოლო ზაფხულობით მოდის აქა და შიშის ზარს სცემს მტხოვრებლებს.

მე ქალბატონი მალარია დაბა ოჩენჩირეში გავიცანი. სწორედ ის იყო ახლად ზღვაში ნაბანავევი იქვე ნაპირას მწვანე მოღზე მივწექ და მივიძინე, რომ მოულოდნელათ თავს დამადგა ვიღაც მალა-მალაი, ხეღ-ხმელი და ყვითელ-ყვითელი ასული კოლონას ფრთებით, რომელთა გამჭვირვალე ძარღვებში რაღაც შავ შავი ბუშტები მოსჩანდა.

— დაიძინეთ?—სიცოლიდა მკითხბ მან, და მე ვიგრძენ, რომ მთელი მისი ძლიერება სწორეთ ამ სიცოღლში იყო.

მსწრაფლ ხელი გავიკარ მათრახზე, მაგრამ უკვე





გვიან იყო. მკლავებში მოულოდნელი კანკალი ამი-  
ვარდა, ხოლო მას თან დაჰყვა გულის რევვა და  
ზედმეტი სიცხე ორგანიზმისა.

მას შემდეგ, ვიდრე სურამის გვირაბიდან ხა-  
შურისკენ არ გამოძევა ჩვენი მატარებელი, მე მუ-  
დამ თან მდევდა აჩრდილი იმ ალქაჯი ქალბატონის-  
სა, რომელიც ასე დაუსჯელათ პარპაშობს მთელს  
აფხაზეთსა, სამეგრელოსა და გურია-იმერეთში.

ამ რევოლიუციამ არა ერთი და ორი ურჩი და  
მავენ პირი მოთურგნა, მედიტონ ემუხვარც ლამის  
მშვიდობიანი და უშიშარი მოქალაქის პირობებში  
ჩააყენოს, მაგრამ ქალბატონ მალიარიას ფეხებზე  
ჰკიდია შენი რევოლიუციაც და კონტრ-რევოლიუ-  
ციაც.

მოგახსენებენ, მას მხოლოდ კულტურისა ეში-  
ნიოა და თუ ეს მართალა ასეა, მაშ ჯერ კიდევ დი-  
დი ხნის ბატონობა მოეღოს ჩვენს მხარეში.

**ს ა ხ უ მ ი .**

შუადღებზე ცოტა გადასული იყო, როცა ჩვენ  
ქ. სოხუმში შევედით. რაღაც საქველმოქმედო მიზ-  
ნით აუარებელ ხალხს მოეყარა თავი ქუჩებში. დავ-  
ბინავდით სასტუმრო „ცენტრალში“, არა მხოლოდ  
მიტომ, რომ ცენტრალისტები ვართ, არამედ სხვა  
მოსაზრებითაც.

ტუფილი ამბავია, თითქო სხვისი ნალაპარაკე-  
ვით ამა თუ იმ კუთხის, სოფლის გინდ ქალაქის  
გაცნობა შეიძლებოდა. არა თუ სიტყვა, სურათზე  
გამოხატავს მკრთალ შთაბეჭდილებას სტოვებს და  
მხოლოდ საკუთარი თვალი, აი ერთად ერთი ია-  
რალი ნამდვილი მშვენიერების დასაფასებლათ.

კი დარაჯათ ამოსდგომა მწვანე ქუჩისკენ მათა  
რიგი.


განიერი და სწორი ქუჩები, ფართე ტროტუა-  
რებით, მართალია, ჯერ-ჯერობით ვერ არის სე-  
ვარგისათ მოწყობილი, მაგრამ როცა ქალაქის კე-  
თილდღეობა გამოაჯობინდება, საუტუოო ნიადაგი  
იქნება ხეივნებისა და ყვავილნარების ვასაშენებ-  
ლათ.

უმაჯერესი მშვენება სოხუმისა ევ მისი ბაღები  
და ხეივნებია. სამწუხაროთ, რევოლიუცია ბაღებს  
ერთობ მტრულის თვლით უყურებს, თითქო იგი  
კონტრ-რევოლიუციონური იფესებულება იყოს.  
თუ არ ამ მოსაზრებით, სხვაფრივ ძნელი ასახსნე-  
ლია სამწუხარო მდგომარეობა სოხუმის ბოტანიკუ-  
რი პარკისა. ეს დიდებული განძი ქალაქისა თითქმის  
უპატრონოთ მიუტოვებიათ და ფუქტება ის, რის  
შექმნასაც რამოდენიმე წლები დასჭირდა.

მომავალი შავი ზღვის პირის რკინის გზა სო-  
ხუმს ზურგთ უკან გაუვლის. გაძვრება იმ გორაკს  
ქვეშ, რომლის ფერდობზედაც ზემორე აღნიშნული  
ბოტანიკური ბაღია გაშენებული გამოვა ქალაქის  
ბოლოზე. აშკარაა ადგილის სიეწროემ აიძულა  
ძველი მთავრობა, ელაღატა ჩვეულებისათვის რკი-  
ნის გზა ქალაქის აბლო გაეყვანა.


კარგა ხანია ქალაქი სოხუმი „თავის“ მხრივ  
მწვავე კრიზისს განიცდიდა. წარმოიდგინეთ უთაო-  
ბის სიმძვინვარე იქამდე მივიდა, რომ ქალაქის თა-  
ვად ნიკო თავდიგირიძეც კი აირჩიეს.

დღეს დღეობით საქმე სხვაგვარ დატრიალდა.  
ქალაქის ცხოვრება მის ნამდვილ ჭირისუფლებს ჩა-  
უვარდა ხელში დაჭირისუფალი, რა თქმა უნდა,  
თავსაც სავარგისს გამოანახავს და ფეხებსაც.



მე ვიტყვი და თქვენ იმეღია დამიჯერებთ, რომ  
ქალაქი სოხუმი უღამახესია ჩვენს სამშობლოში.  
წინ მას გაშლია ლურჯი სივრცე შავი ზღვისა, უკან

მე ძლიერ შესიამოვნა, როცა წარმომიდგა  
ახალგაზრდა გრძელ-წვერა, მალალ-მალალი, ხმელ-  
მელი ყმაწვილი და მომხსენა.



— ქალაქ სოხუმის თავი, ბენიამენ გრიგორის ძე ჩხიკვიშვილი.

— დიდათ სასიამოვნოა, დიდათ სასიამოვნოა და სასიხარულო.

მართლაც ბენია ჩხიკვიშვილი ვის არ გაუგონია ჩვენში და არა თუ ჩვენში, შორეულ კიბშირშიაც მან სახელი და სიყვარული მოიხვეჭა. ალბათ არ ანებებდენ, თორემ ცხადია სოხუმს სცოდნია თავის ამორჩევა.

თუ რამდენადა უყურადღებოა იყო მიტოვებული მუნიციპალიტეტის ინტერესები ქ. სოხუმში ამას ნათლად ამტკიცებს შენობა გამგეობისა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას ერგება სიგლახის პრიზი ყველა დანარჩენ შენობათა შორის.

პირველი ჩემი ყურადღება სოხუმის ქუჩაზე ერთმა ახირებულმა სურათმა მიიპყრო. „აფხაზთა

კლუბის“ წინ აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. შუაგულში სკამზე ახალგაზრდა აფიციერი იდგა, რომელსაც ხელზე, მსგავსად მიმინოსისა, პატარა მხრებ ჩამოყრილი წიწილა ეკირა და ათამაშებდა.





— Двадцать одинъ рублей, кто больше!  
Пасматри, танцуитъ, танцуитъ.

საბრალო წიწილს გრძობა დაჰკარგოდა, მხრები საწყლათ ჩამოეშო და უსიკვებლო თვალებით მისჩერებოდა აფიცერს, თითქო ფიქრობს: ერთი დახედეთ რა დრო დამიდგა, რუსის აფიცერს ხელზე ვუზივარ და შათამაშებსო.

სიმაართლე თუ გნებავთ, ის აფიცერი ისე მოხდენილათ ლაპარაკობდა: Танцуитъ, танцуитъ-ო, რომ აშკარად ემჩნეოდა უცხო არ იყო ქათმებით ვაქრობისა.

ზოგიერთებს არ მოსწონთ, როცა სამხედრო პირები ქათმებსა ჰყიდიან, საღვურებზე მეზარეულების როლს ასრულებენ, ჩექმებსა სწუნდენ, სემიჩკას ჰყიდიან და სხვ. მათი აზრით ეგ არ შეეფერება ხედართა ღირსებას. ჩემის აზრით კი ეს ერთადერთი გზაა მხედრობის დემოკრატიზაციისაკენ. აი ამიტომაც აღმაფრთოვანა სოხუმის ქუჩაზე ნანახმა სურათმა და ვსცადე იმისი თქვენს წინაშე აღდგენა.

დღევანდელი დღე სოხუმისათვის იშვიათი დღეა. ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მე შევედი ქალაქში აკაკის თანხლებით, არამედ იმიტომაც, რომ დღეს გაიხსნა ქვეყნის გაჩენიდან პირველი თავისუფალი კრება აუხაზეთის გლეხკაცობისა.

მიუხედავად იმისა, რომ სიგზღმბა უკვე კბილები მომკვეთა და მათ ისე ვავურბი, როგორც თედორე დლონტი ლოდიკას, აფხაზ-გლეხთა სიგზღზე სიამოვნებით ამოცეკვ თავი.

სიგზღი ერთობ მოსაწონია გარეგნული შეხედულობით. ქართლელ გლეხს რო აქ შემოახედლო უთუოდ იტყვის:

— ერთი შახნელს კაცმა, რამდენი კნიაზი მოქუჩებულა ე გასაწყვეტო.

საქმე იმაშია, რომ ვარეგანი მოხაზულობითა და მოკაზმულობით აფხაზი გლეხი მთლიერ ჩამოკავის თავადიშვილს.

ჩემი სიტყვების დისასბუთებლათ მომყვას აქ სურათი რამოდენიმე პირისა, რომელთა სახის გამომეტყველება აშკარათ გიჩვენებთ როგორც მათ თავადურ შთამომავლობას, აგრეთვე მათ სულიერ განწყობილებასაც.

ამხანაგი ა. ერთობ გაბედული, ენერგიული და მხნე გლეხია. მიწა რაც მეტი ექნება მით უკეთესია. კომპრომისები თავად-აზნაურობასთან არ მოსწონს. ლაპარაკობს წამში 18 კვანძის სიჭკარით, მკვახეთ და ლომ-გულათ. მომავლის იმედებით არის აღჭურვილი და დროებით მთავრობას მხარს უჭერს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

ამხანაგი ბ. მოხუცი, წინდახედული, გამოცდილი გლეხია. იგი მიწაში ღრმათ იყურება და საქმეს კოჭებში სინჯავს. დღევანდელი ვითარება ერთობ მოსწონს, მაგრამ ხელიდან დედას მკვირათ არა აქვს გადაწყვეტილი. მიწა ამასაც ბევრი უჩრჩენია. ბოლო სისხლის დაღვრა მიწისათვის პროგრამაში არა აქვს შეტანილი. ლაპარაკი დარბაისლური, თუმცა ჩქარი და მსტგინავი აქვს.

ამხანაგი გ. შუახნის მუშა-კაცია. ყველაფერზე ემჩნევა დაკვირვების ექვიანობის ბეჭედი. საქმეს განიდან უყურებს, თითქო ეშინია, შიგ ფეხი არ ჩამოცდესო. მიწა რამდენიც უნდა მისცეთ, უარს არ იტყვის. ოღონდ სხვამ ჩამოართვას მიწის პატრონებს. ლაპარაკში ის თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებს, მხოლოდ უსმენს ბეჯითი მოწაფის ხალისითა და გულისყურით.

ამხანაგი დ. ცნობილია თავისი გულგრილობით ყრილობის საღაო საკითხთანმი. მისი აზრით



ასე წადა საქმე კარგია, ისე წადა კარგია. თითონ არ ლაპარაკობს, მაგრამ ყველას ნაღაპარაკევი მოსწონს განურჩევლად რწმენისა და შინაარსისა.

შუა ნაწილი, ანუ წელის უბანი აფხაზისა, (მგრელისაჲც, რასაკვირველია,) ასეთია



მიუხედავთ იმისა, ბლუზა აცვია, ჩოხა, თუ პიჯაკი, აფხაზს წელზე უთუოდ რევოლვერი ჰკიდია და რევოლვერი არა უმოკლეს ნახევარი არ-შინისა. ჩოხ-ანები ვარდა ამისა ხმალსა და ხანჯალსაც ატარებენ. ბლუზასა და პიჯაკზე ხმალ-ხანჯალი იშვიათია.

დაეუბრუნდეთ ისევ აფხაზეთის გლეხთა ყრა-ლობას. აკაკი ჩხენკელის კრებაზე გამოჩენას (მე ვიმაღლებოდი, თუმცა ერთმა ქალიშვილმა მაინც გამომანახა), დღეღატები აუწერელის აღფრთოვანე-ბით შიგეგებენ. როგორც მოსალოდნელი იყო მრავალი გრძნობით სავე სიტყვები წარმოითქვა რუსულსა, აფხაზურსა და მეგრულ ენებზე. საზოგადო-ბით უნდა ითქვას, რომ წევრნი საოლოკო გლეხთა ყრილობისა შეგნებულათ ეკიდებოდენ საქმეს.

კრება რამოდენიმე დღეს გაგრძელდა. უკანა-სკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ამა. ვ. ჯუღელისა.



ვ. ჯუღელი თავის მოხსენებაში შეებო პეტ-როგრადის შეიარაღებულ განრჩევი დაბგმო ის, როგორც ასეთი, და შემდეგ გადასწავლა ბურჟუაზია-ზე. რასაკვირველია, არც ბურჟუაზიას დააყენა კარ-გი დღე. სიებშია მოიწონა მოხსენება და მიიღო მომხსენებლის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია.

ვიდრე ქალაქის წარჩინებულ პირთა შესახებ ლაპარაკს დაიწყებდნე საქიროა ორიოდნე სიტყვა სოხუმელ მანდილოსანთა შესახებ მომისმინათ.

თეორიულად დიაცთა საკითხი ჩვენს პარტიას უკვე საქმოდ ვარკვეული აქვს, მაგრამ მიუხედავთ ამისა პრაქტიკულ ცხოვრებაში არა ერთი და ორი შემთხვევა სდგება ჩვენს წინაშე, როგორც მხატვ-რისა და იუმორისტის, რამლის სათანადო ვადა-წყვეტა პარტიული გზიდან გადახვევას მოითხოვს ხოლმე.

განსაკუთრებია ტრადიკულია მხატვრული მო-მენტი ვასაჰირისა. თქვენ ალბათ მოგხსენდებთ კრიტიკული მდგომარეობა მხატვრისა, რომელსაც ცალ-თვალა მეფეზე სურათის გადაღება დაავალა. წინ წყალი და უკან მეწყერი დაუდგა საბარლო მხატვარს, ვინაიდან:

დახატავდა ცალ-თვალს, მეფე გასწყერებოდა: როგორ მაქადრე ცალ-თვალობა, მე ხომ მეფე ვარო და თავს მოაძრობდა;


დახატავდა ორივე საღი თვალით, მაინც გა-სწყერებოდა მეფე: შენ სიმაართლეს ღალატობ, მე ხომ ცალი თვლი მაკლიო, და თავს მაინც მოა-ძრობდა.

მოგხსენდებთ ალბათ ისიც, თუ როგორ და-ახწია თავი განსაცდელს აღნიშნულმა მხატვარმა: მან მეფეს ხელში თოფი მისცა, წინ ირემი დაუხუ-ტა და ცალი თვლი დაახუჭვია.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ყველა მხატ-ვარს სად შეუძლია ასეთი მოხერხებული გზა გამო-ნახოს? მდგომარეობა კი არსებობდა ისეთივე, რო-გორიც იმ მხატვრისა.

აი მოდის თქვენთან ქალბატონი ელენე და გეუბნება: აბა, ბ-ნო ეშმაკო, დამხატეთ ერთი..

მე ხატვა არ მესარება ღმერთიც მოწაქეთა მყავს და ჯოჯოხეთიც, მაგრამ უნებლიეთ იბადება საკითხი: დავხატო ასე, ვაი ბ-ნ ეშმაკს; დავხატო ისე, უი ბ-ნ ეშმაკს. ერთი სიტყვით ჩემს წინაშე სდგება იგივე „წინ—წყალი, უკან—მეწყერი“; მაგ-




გარდა იმისა, რომ ადგილობრივ კოოპერატივში ენერგიულ მუშაობას ეწევა, სტესტის ხმოსანთა რიცხვშიაც ურევია და ამისთვის კომისიის წევრათ არის არჩეული. გარდა ადგილობრივი კადეტებისა, სტესტის ყველა სიყვარულით ეპყრობა, რაიც თავისი დაუღალავი მოღვაწეობით დაუმსახურებია. მიუდგომლობა და სიპართლე მინდორში როდი ჰყრია, რომ ყველამ აიღოს და გიბეში ჩაიდოს. რა მიზეზით არის კადეტების სტესტისადმი უკმაყოფილება გამოწვეული—ჩვენ ვერ გავიგეთ, თუმცა საარჩევნო აგიტაციასთან უნდა ჰქონდეს განხეთქილებას კავშირი.

რამ თუ კი ვიღაც ძველის-ძველმა მხატვარმა კი დაახწია თავი ასეთ მდგომარეობას, მე რაღა მაჩანჩალი ვარ ცხოვრებისა? მეც, რასაკვირველია, ვიპოვე გზა ხსნისა, ვინაიდან საკმაოდ შესწავლილი მაქვს ფსიხოლოგია კაცობრიობის ნახევარისა.

ასეთ შემთხვევებში მე მოვიკრებ ხოლმე მთელ ჩემს ძალ-ღონეს, მთელ მხატვრულ ნიჭს და ეხატავ მსურველ ქალბატონს 100% ორიგინალზე უფრო ლამაზს.

რა თქმა უნდა სურათი დედანთან სწორი არ იქნება, მაგრამ მოწონება დედანის მიერ უმკველ უზრუნველყოფილია და ჩემთვის ამას დიდზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ახლა დავუბრუნდეთ ქალაქის საპატია პირებს.



სტესტი რამიშვილი, თუ არა ვცდები, ყველაზე უფრო პოპულიარული პიროვნებაა ქ. სოხუმში.




ვარლამ წიგწიაძე აგრეთვე ერთ-ერთ წარჩინებულ პირთაგანია ქ. სოხუმისა. ძველათ, თვითმპყრობელობის დროს იგი ჩვენი ჟურნალის თანამშრომლად ითვლებოდა და სწორეთ მას უნდა მიეწეროს სოხუმიდან ცნობათა მოწოდების სიმცირე. გარდა ამისა მას ბევრი სხვა ღვაწლიც მიუძღვის. დღეს იგი სოხუმის კოოპერატივში იღვწის და ამასთან ქალაქის ხმოსანთა შორისაც დაივინახე.

ეს სურათი, რომელიც გამოხატავს ადგილობრივ მოქალაქეთა ერთ-ერთ ტიპურ წარმომადგენელს, გადაღებულია ჩემ მიერ აფხაზთა კლუბის წინ. ის მხოლოდ იმ პარტიას ეკუთვნის, ვინც მას არაყისათვის ათშაბუიანს აჩუქებს. ტომით რუსია და ბევრ იც უმოგზაურია დედა-რუსეთის სიგრძეს სივანეზე.



დასასრულ უნდა შევეხო გამოსათხოვარ ნა-  
დიმს, სადაც თამადათ ერთხმად არჩეულ იქნა  
სოხუმში დიდათ ცნობილი აზ. დიმიტრი ზახარჩი.



განსაკუთრებით მომეწონა მისი წესრიგი თა-  
მადობისა, ვინაიდან პირველად ჩემს მოსწრებაში  
მან ყველაზე წინ ჩემი სადღეგრძელო დალია, რა-  
გორც ფუტურისტი მხატვრისა და გამოიყენა იმ  
უხერხულ მდგომარეობიდან, რომელსაც გამოიწვევ-  
და მასში მისი საკუთარი სურათის ნახვა,

რასაკვირველია, მარტო მისი კარგი თამადო-  
ბით არ აიხსნება მისი სოხუმის საბჭოს თავმჯდომე-  
რეთ არჩევა, ვინაიდან ძველი ქალაქის თავი თავა-  
დი ნიკო თავდგირაძე ამ დარგში არა ნაკლებ  
ცნობილი იყო. მაგრამ სოხუმის დემოკრატია იმ  
გააშავა.

ნადიმზე ჩემი ყურადღება დაიმსახურა აგრეთვე



მილიციის უფროსმა ბ-ნმა ხუტურბაიამ. მას ერთობ  
საოპერო მაღალი ტენორი აქვს და თუ ხმას და-  
ამუშავებს ჩინებული მომღერალი დადგება.

საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ მე ვინა-  
ხულე სოხუმის სკოლა ქართველთა შორის წერა-  
კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და აგრეთვე  
„ფინჯანი ჩაი“ ამავე საზოგადოების მიერ მო-  
წყობილი. სკოლამ ჩინებული შთაბეჭდილება მო-  
ახდინა თავისი მოწყობილობით და მომავალშიც  
დიდ იმედებს იძლევა.

რაც შეეხება „ფინჯან ჩაის“, იმის შესახებ  
რისიმე თქმას ვერ ვბედავ, ვინაიდან რამდენჯერაც  
არ მივედი ვერც ფინჯანი ჩაი ვიზოვე, ვერც ყავა  
და ვერც სოხუმში ცნობილი „ანკარა“.

სოხუმიდან ჩვენ ოჩემჩირესაკენ გამოვემგზავ-  
რეთ, რომლის შესახებ ვეცდები შემდეგ ნომერში  
გემუხსიფოთ.

ეშმაკი.

(შემდეგი დღეისწოას).

# კომისარტან.

სცენები I მოქმედებად.

(სცენა სწარმოებს ზემო იმერეთის ერთ-ერთ პროვინციის კომისართან).  
(ვუძღვნი ვასო არაბიძეს).

მოქმედნი პირნი:

კომისარი	36 წ.
ნარიშანი	40 —
ნოზრევანი	50 —
ბასილა	45 —
ანთიმოზა	60 —
სალომე ანთიმოსას შვილი.	20 —
დარეჯანი	50 —
საღდათი დარეჯანის შვილი.	25 —
გარა ლოთი ძველი წულუბის მკვრავი (ფინაჩი).	37 —

- 1 მილიციონერი
- 2 მილიციონერი

(სცენა წარმადგენს კომისარის კანცელარიას, კანცელარიის გადებულ ფანჯრიდან მოსჩნის „კანდიდოზი“ მდგომარეობის მთხრობლები. დიდი ჩოქოლი და ღანაჩია, ელიან კომისარს. დიჯა. ისმის მილიციონერის ხმა: „მოითმინეთ, ხაზინო, მოითმინეთ!“ ამ დროს გამხანდება კომისარს, რომელსაც შემოესვენს მთხრობლები და მიესალმებიან: „ზრისტეს გუგუშარჯეს, ზრისტეს!“ კომისარს იწყებს კანცელარიისკენ და დადის გაფრთხილებით ცდილობდა შემოესრება კანცელარიასში. შემოჭვება ხაზინა, მაგრამ მილიციონერი ერეკება გარეთ).

## I

კომისარი და მილიციონერი.

მილიციონერი. მოითმინეთ, მოითმინეთ და ყველას დაგიხაზებთ (კარებს შიგნით ვაჩერდება).  
კომისარი. ფუ, დასწყევლოს ღმერთმა, კინადამ დაშარჩნის კაცი! არა, ამით გაძლებას ქეშმარტიად რკინის თავი უნდა! ვაი, ნიკოლოზო, შენ დაგეძტეს ოჯახი, როგორც შენ ჩემ საუბედუროთ გადმოვარდი ტახტიდან. ესლა დაუჯექი ამით და ახეტუქ თავი! ზოგს წიწილი დაუკარგავს, ზოგს ავერცხი, ზოგისთვის ღობე გაურღვევით და ყვე-

ლა აქ მორბის საჩივლოთ! ჰარჩილად წარვიცი ამდენ კლიაუნში საჩივრებს როგორც კინდა ვაქტლო! მილიციონერი. ნეტა ძვილათაც თუ ასე იყო, როგორ უძლებდნენ ბოჭკულები!  
კომისარი. ძველათ, ჩემო ვანო, თავს არავინ გაიხტებლებდა მივათთვის და ზოგიერთებს კაი-კაისაც მიარტყავდნენ, და თუ ცოტათი შეიწუხებდნენ თავს, სამაგიეროთ ჯობებეს ისტებდნენ.  
მილიციონერი. მაინც და ერთი-მეორეს რომ არ აცლიან!

კომისარი, სწორედ მივაშია საქმე, თორემ რომ აცლიდნენ და დალაგებით ლაპარაკობდნენ, რალა მიჰირდა მაშინ!  
ხემა: „ბატონო, დაგვალამდა, სამართალი მოგვანიქე, სამართალი!“  
კომისარი (მილიციონერს). გაუღე კარები და რიგ-რიგათ შემოუშვი, თორემ შეგვეკამენ! (მილიციონერი კარებს გააღებს. ხალხი კარებს მოასტდება, მაგრამ მილიციონერი ერთს შემოუშვებს მხოლოდ დანარჩენს კი გარეთ ერეკება. თითონ ისევ კარებში დგება შიგნით).

## II

გიგინეე და ნარიშანი.

ნარიშანი (ძველი ჩიხა-ახალუხი აცვია, ფეხებზე ქალამნები. ყაბალახს გადაიხდის და მდაბლათ სილამს აძლევს კომისარს). პრისტავი აცოცხლა ღმერთმა!

კომისარი (ნაწყენი). უკაცრავად, აშხანავო, მე პრისტავი არ ვასლოვართ! მე ვარ ხალხის მიერ ამორჩეული მმართველი, ანუ კომისარი.

ნარიშანი. ხო და ხალხის ამორჩეული რომ ბრძანდები, შენ დაგენაცვლოს ნარიშანი, მეც იმიზე გისხნიებ ზდილობიანთ.

კომისარი. ზდილობა კი არა, პრისტავის დაძახება ჩემთვის შეურაცყოფაა, გესმის? ნარიშანი. მესმის ბატონო პრისტავო კომისარა. კიდევ! კაცო, მე პრისტავი არა ვარ, გესმის თუ არა?!

ნარიშანი. იმე! ბოშო, მე ზდილობიანთ გისხნიებ და შენ ქე მიწყრები!

კომისარი. ბძანეთ, ბატონო, რა ვინდათ, მე ამდენი დრო არა მაქვს.

ნარიშანი. მოგახსენებ, შენ დაგენაცვლოს ნა-

რიმანი, მარა დალაგებით მომისმინე და ნუ გამოწყურები, ბატონო პრისტავო.

კომისარი (შეწუხებული). ოხ, რა ექნა კიდევ პრისტავი! კაცო, გადაშენდა ის პრისტავება აღარ არის, რით ვერ, გაიგე!.. მითხარით, ბატონო, რისთვის მოხვედით ჩემთან, რა გინდათ?

ნარამანი. მოგახსენებთ შენი ჰორიმე. შენ განათლებულ შუბლს დაენაცვლოს ნარიმანი ყორისფევი დალაგებით მომისმინე მე, როგორც მოგეხსენება ერთი ღარიბი გლეხი ვახლავართ და იმედია, ბატონო, პრის... ბატონო კომიტატო, სამართალს მომანიჭებთ და უხაკონოთ არ დამჩაგრავთ.

კომისარი. გისმენთ, სთქვით რაშია საქმე? ნარიმანი. შენ დაგენაცვლოს ნარიმანი, ხო... იგი ჩვენი იორღანე პირშავაძის ბიჭი რომაა, ბატონო, პროკლია, ქე გეცოდინება შენც. შენი გოუგებარი რაღა იქნება ქვეყანაზე, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი.

კომისარი. მერე, სთქვით რაშია საქმე? ნარიმანი. ისეც კი დაგემართოს! ის პროკლია, ბატონო, ნამდილ ძეგლი თაობის უნდა იყოს, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი, თვარა ის რომ ახალთაობის იყოს, რაღა ჩემისთანა გაქირებულ ადამიანს ასეთ დღეს დააყენება!

კომისარი (დაყვევებით). სთქვით, ამხანაგო, რა გიყოთ იმ პროკლიამ?

ნარიმანი. იმე! რეიზა იკადრებ, ბატონო, მე სიღლეური შენი ამხანაგი ვარ, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი!

კომისარი (მოთმინებიდან გამოსული). ოხ, რა ექნა!

ნარიმანი. ნუ გამოწყურები შენ დაგენაცვლოს ნარიმანი. მოგახსენებთ, ბატონო პრის... ბატონო კომიტატო. იმ პროკლია პირშავაძემ დაძლეუბა და დამაქცია თვლათ კაცი! ღორი მომიკლია, ბატონო, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი, მისთანა მაკე ღორი რომე მისი ცალი საქონელი ქეც არ დაიარებოდა ჩვენ საზოგადოებაში. მისთანა გაბიზინებული დელიდა, ბატონო კომიტატო, რომე თვლათ ზანზარი გაქონდა მიწას, შენ ნუ მოუყვებდი ნარიმანს! კომისარი. მერე და რისთვის მოგიკლია, რა არის მოხზი.

ნარიმანი. რა ვიცო, შენ დაგენაცვლოს ნარი-

მანი, ქე კი დამაფსო და დამაქცეოდა! მერე რაველი გაბიზინებული, ბატონო კომისარი. მაკე ვი, ჩემი ცოდვა ნუ გამოუღიოს მას მამაზეკერმა კომისარი. ფასად რა ეღირებოდა თქვენი ღორი? ნარიმანი. რა ვიცო, ბატონო, რა ეღირებოდა მისი ფასი, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი, ბუმბობა კი არ არის ახლანდელ ღროში ვიძიე, რაღა მამაშე მამსო კაცი, რაღა დამლეუბა მე უბედური! (წუწუნით) დედა, რომ მოუყრიდა ცამეტ კულდებურელა გოკებს და დაწყებდნენ ღრუტუნს...

კომისარი (სიცილით აწყვეტინებს). ხა, ხა, ხა, ხა! მერე და რა იცი რომ ნამდილით ცამეტ ეყოლებოდა და ისიც კულდებურელები!

ნარიმანი. კი, შენ ნუ მოუყვებდი ნარიმანს! ისეთი ჯიშინი ღორის დამაქცეული იყო, ბატონო, რომე ცამეტი და თორმეტი თუ არა, თერთმეტი მიხინც ეყოლაბოდა შენი რისხვა ნუ მომეცემა!

კომისარი (იციის). ხა, ხა, ხა, ხა! კარგი, კარგი. რა ჰქვიან იმას, ვინც შენ ღორი მოგიკლია? ნარიმანი. პროკლია, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი.

კომისარი. გვარი? ნარიმანი. პირშავაძე, ბატონო. კომისარი. რომელი საზოგადოებისა? ნარიმანი. მერვეის საზოგადოების, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი.

კომისარი. კარგი, დავიბარებთ ხუთშაბათისთვის იმ პირშავაძეს და თქვენც მოდით იმ დღისთვის, როგორმე მოგარიგებთ. ეხლა მიბძანდით.

ნარიმანი. კი, ბატონო, ვიახლებით. (მიდის, მაგრამ კარებიდან მობრუნდება) მაგრამ... ხო... ის არ დაგავიწყდება, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი და დაბეჯათებით ჩასწყერ ყნღაში, რომე ღორი ნამდილ მაკე იყო, შენი ჰორი შემიყაროს. (მიდის).

კომისარი (სიცილით). ჰო, კარგი, კარგი. ნარიმანი (მობრუნდება). მერე, მისთანა ჯიშინი ღორის დამაქცეული, შენ დაგენაცვლოს ნარიმანი რომე...

კომისარი (აწყვეტინებს სიტყვას). ჰო, კარგი, კარგი, ყველაფერს გამოვიძიებ. ნარიმანი (გულზე ხელის რტყმევით მიდის). ვინ დედასა, რაველი გაბიზინებული იყო, რაველი მაქცე რაღა დეფუხე კაცი! (გაღის).



სტატია

კომისარი

კომისარი. ხა, ხა, ხა, ხა! „უსათუოდ ცამეტი ეყოლებოდა და ისიც კუდებტყრელები!“-ო როგორ მოგწონს, ვანო, ჰა?

მიადიონერი. რა ვიცი, დასწყევლოს ღმერთმა! მე სანამ ცხრა თვე არ გვეიდა ვერ გვეიგე ჩემ ქალს ტყუბი ეყოლებოდა თუ ცალი და მაგი კი დაჯინებით გაიძახის მანდაინც ცამეტს მოყრიდა! ალბათ მარჩელს თუ არჩევია (იციანს).

პ.რ. შა: „მეცა, ბოშო, ჩემი რიგია!

შეკ. ხმ.: „იმე, მე უთენია მოვსულვარ აქანა და ახლა შენ შეგიშვებ გგონია! (ჩოჩქოლი ისმის)

კომისარი. (მილიციონერს) შემოუშვი ის წუხანდელი დაქერილი ლოთი. (მილიციონერი კარს აღებს და შემოჰყავს გარა).

III

კომისარი, მილიციონერი და გარა.

კომისარი. (გარას) თქვენ ითვრებით, ღვინოს სვამთ და წესიერებას არღვევთ.

გარა. (ძველი წუღების მკერავია, ანუ ფინაჩი. პუტყიან პერანგზე ძველი ახალუბი აცვია. ფეხებზე ძველი ჯღანები აქვს. წინ ღამით ნამთვრალევი გარეტიანებული სდგას, თვალებს ვეღარც კი ახელს). რას ვაძღვრე! მე ღვინოსა ვსვამ და რა ვიცი იქ (მუცელზე აჩვენებს) იმღვრევა თუ იწმინდება!

კომისარი. თქვენ ხუმრობას თავი დაანებეთ გირჩენიათ!

გარა. რა ხუმრობა, რის ხუმრობა! ასამღვრევი ღვინო სად არის, ვასაღინ პრისტავ!

კომისარი. (ხმა მალლა) ამღვრევეთ კი არა, არღვევთ მეთქი!

გარა. დახ ვარღვევ. მაშ ჩემი ხელობა მეტი რა არის! ფინაჩი კაცი წულას ან დაარღვევს, ან შეჰყვრავს.

კომისარი. ხა, ხა, ხა, ხა! (გვერდზე) ამას სხეანიროთ უნდა ველაპარაკო, თორემ სხვა გზა არ არის. მე თქვენ მიფრთხილდით! (პაუზის შემდეგ) მომეცით სატყევა რომ აღარ დაითვრებით და მაშინ გაგიშვებთ ამ ერთხელ.

გარა. ვა, მირონცხებულმა კაცმა ღვინო არ დალიოს სად გაგონილა!

კომისარი. მე თქვენა გკითხავთ: მაძლივეთ სიტყვას რომ აღარ დაღვევთ თუ არა?

გარა. რა ვქნა, ცოტას დავიკლებ; ბატონო,

ორ ბოთლს გაიხლები დაღვევოთ! (სიცილით) ხა, ხა, ხა, ხა! რი ბოთლი ჰა? გულზე რომ დაგადგეთ? მე გიმეორებთ: თუ მომცემთ სიტყვას რომ აღარ დაღვევთ მაშინ გაგიშვებთ, თუ არა და ციხეში გაგზავნით იცოდეთ. გარა. ნუ, თქვენი ხათრისთვის ერთ ბოთლი იყოს, ბატონო, მეტი რა ვქნა!

კომისარი. ხა, ხა, ხა, ხა! მოდი ეხლა და ამას ველაპარაკე! (გვერდზე) ეს თუ არ შევაშინებ სხვანაირათ არ მოხერხდება. (მილიციონერს თვალს უზამს და გარას შესაშინებლათ) ვანო, გადაეცი სხვა მილიციონერებსაც და შენც არ დაგავიწყდეს. ნახოთ თუ არა მთვრალი ბაზარში ეს ვაებატონი, მაშინვე ესროლოთ.

გარა. ბაზარში სულ არ გავალ, ბატონო, სახლში მოვიტან ღვინოს, დავითვრები და იქვე დავიძინებ.

კომისარი. (გადიხარხარებს) ხა, ხა, ხა, ხა! მაშ ვერ ეთხოვებით ღვინოს, ჰა?

გარა. რა ვქნა, შენი ჭირივე, თათარი ხომ არა ვარ რომ ღვინოს თავი დავანებო! მეც მონათლული ვარ და მეც მირონი მცხია.

კომისარი. (ღმილით) კარგი, ამ ერთს გაბატებ და თუ კიდევ გაგვიღია ბაზარში მთვრალი, მაშინ მე ვიცი!

გარა. არა, ბატონო, სახლში დავითვრები და იქვე დავიძინებ.

კომისარი. წადი, ეხლა არა მცალიან შენთან სელაპარაკოთ. იცოდეთ თუ მთვრალი დაგინახე, ცუდათ წაგავა საქმე

გარა. (მიდის, მაგრამ ისევ შემობრუნდება.) თითო ჩის სტაქანი რომ დალიოს კაცმა პანელიაზე, მითომ შინავაობა იქნება?

გოგია.

(შედეგი იქნება)



# დ რ თ ნ ი მ ე ფ თ ბ ე ნ.



დასასწავსი. ნეტავ რა მოხდა, რომ ერთი კვირაა ქათვები კვერცხს აღარ სდებენ.  
ქათვები. გეყოს დაია რაც ამდენ ხანს დაგიდეთ. ქვეყანა იფიცება და ჩვენ კი რაღა ვართ.